აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№53 (24.933) შაბათი, 28 - 30 მაისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 21-26, შიდამთიან რაიონებში - 20-25, მაღალ მთაში - 10-15 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს, ეროვნულ დონეზე, ეკონომიკური სანქციები არ დაგვიწესებია რუსეთის წინააღმდეგ, და ამას არც გავაკეთებთ ჩვენი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, არაერთხელ გაგვიცხადებია და მინდა, კიდევ ერთხელ ამ ტრიბუნიდან განვაცხადო, რომ ჩვენ არ დავუშვებთ არც ერთი სანქცირებული ინდივიდისა თუ კომპანიის უკანონო საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე, - ამის შესახებ გუშინ ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, სადაც ინტერპელაციის წესით დეპუტატების შეკითხვებს პასუხა. პრემიერ-მინისტრის გარდა, პარლამენტართა შეკითხვებს, ინტერპელაციის პროცედურის ფარგლებში, უპასუხეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა, ასევე, ეკონომიკის და იუსტიციის მინისტრებმა.

* * *

სალომე ზურაბიშვილმა უკრაინაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომლები (ხუთი დიპლომატი) ღირსების მედლებით დააჯილდოვა. „ჩვენზე უფრო დიდმა ქვეყნებმა დატოვეს უკრაინაში საელჩო, გადაიყვანეს დიპლომატები ლვოვში, ან საზღვარგარეთ. ჩვენმა საელჩომ - კიევში, ჩვენმა საკონსულომ - ოდესაში გააგრძელეს მუშაობა. მგონია, რომ ეს არის ის ფაქტი, რაც არასაკმარისადაა ხაზგასმული“, - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა დაჯილდოების ცერემონიაზე.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი თურქეთის დიდი ეროვნული ასამბლეის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარეს ჰალილ ეთიემეზს და ჯგუფის წევრებს შეხვდა. მხარეებმა მიმოიხილეს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული მრავალწლიანი მჭიდრო თანამშრომლობა. ყურადღება გამახვილდა რეგიონული მშვიდობის განმტკიცებისთვის გადადგმულ ნაბიჯებზე.

* * *

ფუჭია მცდელობა, რასაც ვხედავთ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისგან, რომ საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მონიჭებაზე ევროკავშირიდან უარის შემთხვევაში, ეს უარი ოპოზიციას გადააბრალოს, - განაცხადა დეპუტატმა შალვა შავგულიძემ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას. მისი თქმით, პასუხისმგებლობა ქვეყნის წარმატებაზეც და წარუმატებლობაზეც ხელისუფლებას ეკისრება. „ჯერ კიდევ არის დრო, გარკვეულწილად, მდგომარეობა გამოასწოროთ და გადადგათ მკაფიო ნაბიჯები, რათა სარწმუნო გახდეს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად სურს საქართველოს ევროკავშირის წევრად გახდომა“, - განაცხადა შავგულიძემ.

მოამზადა
ია შველიძემ

„ქართული დიასპორა საქართველოს ევროპული მომავლისათვის“

„ჩვენი დღევანდელი ფორუმის სახელწოდება და რაც მთავარია, სულისკვეთება, სრულ თანხვედრაშია იმ ამბიციურ ნაბიჯთან, რომელიც ცოტა ხნის წინ გადადგა ქვეყანამ ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ამ პროცესში ჩვენი ქვეყნის განუყოფელი ნაწილის, ქართული დიასპორის ჩართულობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ჩვენმა დიასპორამ კარგად იცის ევროპულ ღირებულებათა ფასი, იმ სიკეთეების მნიშვნელობა, რისი მოტანაც შეუძლია ევროპული ოჯახის წევრობას“, - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ფორუმზე - „ქართული დიასპორა საქართველოს ევროპული მომავლისათვის“ გამოსვლისას. მან საქართველოს განვითარებისა და ქვეყნის პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში, ისევე როგორც ევროინტეგრაციის პროცესში, ქართული დიასპორის ჩართულობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დიასპორასთან ურთიერთობა საქართველოს მთავრობის და საგარეო საქმეთა სამინისტროს, ისევე როგორც საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. საგარეო საქმეთა მინისტრმა მადლიერება გამოხატა ქართული დიასპორის წარმომადგენლების მიმართ, რომელთა ძალისხმევა მიმართულია სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფის და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისკენ.

„ძალიან მნიშვნელოვანია დიასპორის წევრების ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური ჩართულობა, ადამიანების, რომლებიც წელში არიან გამართული და შეუძლიათ რაღაცის გაკეთება“, - განაცხადა ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა. „მათი სურვილია არა მხოლოდ ქველმოქმედება, არამედ ჩართვა ქვეყნის განვითარებაში და ინვესტიციის ჩადება... ჩვენ ვართ მდიდარი ამ დიასპორით და კიდევ უფრო გავმდიდრდებით მათთან ურთიერთობით“, - აღნიშნა მან.

სალომე ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ელექტრონული საშუალებით უნდა მიეცეთ.

„სანამდე უნდა იყოს, რომ ჩვენ გვყავდეს მილიონზე მეტი ადამიანი უცხოეთში და არჩევნებში მონაწილეობდეს მხოლოდ რამდენიმე ათასი. დღეს არსებობს არჩევნებში მონაწილეობის მიღების ელექტრონული საშუალებები ჩვენს ქვეყანაში, ეს გამოვცადეთ ბოლო არჩევნებზე და ალბათ, დროა, გადავიდეთ მათ გამოყენებაზე, რომ უცხოეთში მყოფ ქართველებს არჩევნებში უშუალოდ მონაწილეობის საშუალება მივცეთ“, - აღნიშნა ზურაბიშვილმა

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, იმისთვის, რომ ქართულ დიასპორასა და ქვეყანას შორის არსებული კავშირი არ გაწყდეს, მნიშვნელოვანია, ორმაგი მოქალაქეობის მიღება კიდევ უფრო გამარტივდეს. „ამასთან, საჭიროა დიასპორის წარმომადგენლების ჩართულობა საქართველოს ყოველდღიურ სახელმწიფო საქმეში, ანუ პოლიტიკაში. „ამას სჭირდება ის, რომ დიასპორას ჰყავდეს პარლამენტში თავისი ინტერესების წარმომადგენელი“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

„ჩვენ ვართ ვალდებულნი, როგორც სახელმწიფო, როგორც ხელისუფლება, გავაკეთოთ მაქსიმუმი იმისთვის, რომ კავშირი, რომელიც არსებობს დიასპორასა და სახელმწიფოს შორის, კიდევ უფრო გავაძლიეროთ, მეტად ეფექტური გავხადოთ და რაც მთავარია, ეს ყველაფერი უნდა იყოს შედეგებზე ორიენტირებული...

იხ. 32-2 33.

წამლის ხარისხის კონტროლის პირველი ლაბორატორია გაიხსნება 2

«ყველა პროექტი ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ემსახურება» 3

ზურაბ გორგილაძე - 85 4

«საქსტატი» - 2021 წელს სიღარიბის დონის მნიშვნელოვანი შემცირება დაფიქსირდა 5

26 მაისი - აჭარის მთიანეთში 6

წყალი - ყველაზე აუცილებელი! 7

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

კომიტეტმა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს მოუსმინა

უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე სსიპ „აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმძღვანელის ანგარიში მოისმინეს. ინფორმაცია ამის შესახებ საკანონმდებლო ორგანომ გაავრცელა

სხდომას ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე უძღვებოდა. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა რუსუდან შავიშვილმა საკანონმდებლო ორგანოს წევრებს 2021 წელს გაწეული საქმიანობისა და მიმდინარე პროგრამების შესახებ ვრცელი ანგარიში წარმოუდგინა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2021 წლის ბიუჯეტი 2 683 650 ლარი იყო, წელს კი 3 მილიონ ლარს აჭარბებს. რუსუდან შავიშვილმა ცენტრის პროგრამითა და ქვეპროგრამებით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე ისაუბრა, უპასუხა უმაღლესი საბჭოს წევრების კითხვებს. კომიტეტმა წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად მიიღო“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ია შველიძე

„ქალები და ღირებულება — სიცოცხლის ფასად“

აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ორგანიზებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, ბათუმში TEDx-ის სტილის ღონისძიება - „A-Spire - შთააგონე“ გაიმართა, რომელსაც უმაღლესი საბჭოს წევრები, სამოქალაქო სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, „ქალები და ღირებულება - სიცოცხლის ფასად“ - ამ სახელწოდების ღონისძიება დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა და მისი პირველი ნაწილი თსუ-ს სტუდენტებს დაეთმო, რომლებმაც 1917-1921 წლებში მოღვაწე ქალთა შესახებ მოკვლეული მასალები წარმოადგინეს, გაიხსენეს ის ქალები, რომლებმაც დამოუკიდებლობისთვის და თავისუფლებისთვის მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მეორე მსოფლიო, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების, დედაენისა და 9 აპრილის მოვლენების მონაწილე ქალებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ჩვენი ქვეყნის უმძიმესი წარსული და ისაუბრეს ქალთა როლზე ქვეყნის დამოუკიდებლობის პროცესში.

ღონისძიების მეორე ნაწილს უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ფატი ხალვაში უძღვებოდა. მან თავის გამოსვლაში საბჭოს მიერ გატარებულ აქტივობებსა და მიზნებზე ისაუბრა.

უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ცოტნე ანანიძემ ღონისძიების მონაწილეებს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და აღნიშნა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ქალებმა თავისი გამორჩეული წვლილი შეიტანეს, ბევრმა მათგანმა კი თავისუფლებას, სიცოცხლე შესწირა.

ანკა ჩხიკვაძე

„ქართული დიასპორა საქართველოს ევროპული მომავლისათვის“

პტრველი გვერდიდან

ძალიან კარგად მესმის ის სირთულეები, რომელიც ჩვენი დიასპორის წარმომადგენლებს აქვთ. არის მთელი რიგი გადაუწყვეტელი საკითხები, რომელიც ძალიან გაუმარტივებდა პროცედურებს ჩვენი დიასპორის წარმომადგენლებს.

სექტემბერში შესაბამისი კანონპროექტი წარედგინება პარლამენტს და ყველა ხელოვნურად შექმნილ ბარიერს ჩვენ მოვხსნით ისე, რომ დიასპორის წარმომადგენელს მარტივად შეეძლოს თავისი ქართული პასპორტის აღება“, - განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილი გამოვიდა ინიციატივით, რომ დიასპორის წარმომადგენლებმა, საზღვარგარეთ ქართული პასპორტის აღებისას, იმავე საფასურით ისარგებლონ, რომელიც საქართველოში მოქმედებს.

„ეს ტარიფებიც, რა თქმა უნდა, გათანაბრდება. ჩვენ არავითარი დაყოფა, არავითარი განსხვავება არ უნდა გვქონდეს საქართველოში მცხოვრებ ადამიანს, მოქალაქესა და უცხოეთში მცხოვრებ მოქალაქეს შორის“.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველოს ჰყავს დიასპორის არაერთი წარმატებული და ბრწყინვალე წარმომადგენელი და ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ მათ შესახებ.

„ვიცი, რომ ჩვენს მოქალაქეებს მოუწიათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ წასვლა, დროებით დატოვება ჩვენი სამშობლოსი, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ თითოეული მათგანის გული არის სამშობლოსთან. ისიც კარგად მესმის, რომ ბევრ მათგანს ჯერ კიდევ არ შეუძლია დაბრუნება საქართველოში, მაგრამ მათი მთავარი, საბოლოო მიზანი უნდა იყოს ქვეყანაში დაბრუნება. ჩვენ დიასპორის ათასობით, ასი ათასობით წარმატებული წარმომადგენელი გვყავდა და გვყავს საქართველოს ფარგლებს გარეთ... ამ ადამიანების გვარები დღეს, სამწუხაროდ, დავიწყებულია. აუცილებელია ჩვენს ახალგაზრდებს შევახსენოთ, ვისი გორისანი ვართ... ქალბატონი პრეზიდენტი საუბრობდა ინიციატივაზე, იდეაზე, რომელიც უზრუნველყოფს დიასპორის წარმომადგენლების ჩართულობას ქართულ პოლიტიკაში. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ქალბატონი პრეზიდენტი, რომელიც არის დიასპორის ბრწყინვალე წარმომადგენელი, საქართველოში დაბრუნდა და ჩვენ ავირჩიეთ პრეზიდენტად. რა თქმა უნდა, ესეც არის ძალიან სიმბოლური,“ - აღნიშნა პრემიერმა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ფორუმს მიმართვა გაუგზავნა, სადაც ქართული დიასპორის წარმომადგენლებს თავდაუზოგავი შრომისთვის მადლობა გადაუხადა

და მოუწოდა, საქართველოს საზღვრებს გარეთ იყვნენ თავიანთი ქვეყნის დროებითი, მაგრამ ღირსეული მოქალაქეები.

„ყოველმხრივ ეცადეთ, არ შელახოთ საქართველოს სახელი. ხოლო ვინც მრუდე გზით ცდილობს თავის დამკვიდრებას, დიდ დანაშაულს ჩადის, რადგან ვნებს როგორც საკუთარ თავს, ისე სამშობლოს... დროებითს ვამბობ იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან, თქვენ საქართველოში დაბრუნდებით, მანამდე კი ეცადეთ, აქ შეეძინოთ მიწები და უპატრონოთ მას. სამშობლოს თქვენ უყვარხართ, სამშობლოს თქვენ ძალიან სჭირდებით“, - აღნიშნულია პატრიარქის წერილში.

დიასპორის ფორუმი ყოველწლიურად იმართება და მიზნად ისახავს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან თანამშრომლობის გაღრმავებას, სამშობლოსთან მათი კავშირის უზრუნველყოფას, მათ აქტიურ ჩართულობას ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში და დიასპორის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

ელენე საყვარელიძე

დასაქმების ფორუმი

აჭარის დასაქმების სააგენტოსა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებით, „შერატონ ბათუმში“ დასაქმების ფორუმი გაიმართა. მისი მიზანი იყო რეგიონალურ შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ერთ სივრცეში თავმოყრა; სამუშაოს მაძიებლებსა და დამსაქმებლებს შორის პირდაპირი კომუნიკაციის ორგანიზება.

ფორუმში მონაწილეობა მიიღო აჭარის ტერიტორიაზე მოქმედმა 70-მდე მცირე, საშუალო და მსხვილმა კომპანიამ. მათ სასტუმრო, სარესტორნო, სავაჭრო, სამშენებლო, სამრეწველო, საბანკო, ასევე სხვა სფეროებიდან წარმოადგინეს 244 ვაკანსია 1370-ზე მეტი სამუშაო ადგილით.

სამუშაოს მაძიებლები გაეცნენ აჭარის რეგიონის წამყვანი კომპანიების ვაკანსიებს, გაეცნენ პოტენციურ დამსაქმებლებს.

ფორუმზე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წარმომადგენლებმა მონაწილეებს საზღვაო აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო, გაცვლითი პროგრამები, საერთაშორისო პარტნიორები და ასევე, აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის პროგრამები და დამსაქმებლები გააცნეს.

ანკა ჩხიკვაძე

წამლის ხარისხის კონტროლის პირველი ლაბორატორია გაიხსნება

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

2022 წლის ბოლომდე, წამლის ხარისხის კონტროლის პირველი ლაბორატორია გაიხსნება. ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს

უწყების ცნობით, დაწესებულებაში, მაღალტექნოლოგიური აღჭურვილობის საშუალებით, შეისწავლიან და გააკონტროლებენ მედიკამენტების ხარისხს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ლაბორატორიის შენობის რეკონსტრუქცია, რის შემდეგაც დაწესებულება თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით აღიჭურვება.

სამინისტროს ინფორმაციით, სარემონტო სამუშაოები ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუდუშაურმა და სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა კახა შალიკაძემ დაათვალიერეს და ლაბორატორიის გახსნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

„ყველა პროექტი ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ემსახურება“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ოთხწლიანი „შესვენების“ შემდეგ, ქედაში წარმომადგენლობით ორგანოს ისევ ამირან ციცაძე ჩაუდგა სათავეში. მისი საქმიანობა იმ პოლიტიკასთან თანხვედრაშია, რომელსაც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ატარებს. საკრებულოს თავმჯდომარე ***ამირან ციცაძე*** *ჩვენი სტუმარია.*

- ბატონო ამირან, ნდობა მეორედ გამოგიცხადეს... რა პოლიტიკური საქმიანობით პასუხობთ?

- აღნიშნულ თანამდებობაზე მეორედ არჩევა, პირველ რიგში, დიდი პასუხისმგებლობაა, შესაბამისად, მოტივაციაც მაღალია, რომ მეტი პროექტი და პრობლემა გადაწყდეს მოსახლეობის სასიკეთოდ.

- პოლიტიკური საქმიანობა უფლებას გაძლევთ, შეაფასოთ მმართველი პარტიის დამოკიდებულება რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით.

- ვთვლი, რომ მმართველი პარტია სწორ პოზიციაზე დგას. ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობის გზაზეა, ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი

- პრემიერ-მინისტრის ინიციატივის - „ურბანული განვითარების“ პროექტის ფარგლებში, დაბა ქედის ცენტრის კეთილმოწყობა დასრულდა, სრულიად განახლდა ტბელ აბუსერისძის ქუჩაზე არსებული შენობა-ნაგებობები, მოეწყო

> *„საერთოდ, ოპოზიციას გააზრებული არ აქვს საკუთარი როლი საკრებულოში. არც ბიუჯეტს დაუჭირეს მხარი და არც ალტერნატიული წინადადებები შემოუთავაზებიათ, ძირითადად, დესტრუქციული ქმედებებით არიან დაკავებულები. არადა, ყველა წარმოდგენილი ინიციატივა, პროექტი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული. მათ შორის გამოვყოფდი მონაწილეობით ბიუჯეტს*

და ისევ აღმოვჩნდებით სხვის მონობაში. გავიხსენოთ 2008 წლის აგვისტოს ომი და შემდეგ განვითარებული მოვლენები. ბევრი პოლიტიკოსი ცდილობს, საქართველოში მეორე ფრონტი გაიხსნას, მაგრამ არ გამოუვათ. ყოველ ქართველს უნდა ახსოვდეს წარსულის მწარე გაკვეთილები, სხვა ჩვენ ტკივილს ნაკლებად გაიზიარებს.

- თქვენი საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევიდან 6 თვე გავიდა. რამდენად ეფექტურად იმუშავეთ დროის ამ მონაკვეთში?

- ეს მოსახლეობის შესაფასებელია, საკრებულოს მუშაობაზე კი შემიძლია ვთქვა, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მივიღეთ ამ 6 თვის განმავლობაში. რა თქმა უნდა, გამოვყოფ მიმდინარე წლის გაზრდილ ბიუჯეტს და სხვადასხვა სოციალურ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. ქედა რთული სამართავი არასოდეს ყოფილა და ახლაც ასეა. არ არსებობს პრობლემა, რომლის დაძლევა შეუძლებელია. ამომრჩეველი ნდობას გვიცხადებს და ჩვენც მათი ერთგული ვრჩებით.

- როგორია ოპოზიციური სპექტრის დამოკიდებულება თქვენ მიერ ინიცირებულ პროექტებზე?

- რა თქმა უნდა, უარყოფითი. საერთოდ, ოპოზიციას გააზრებული არ აქვს საკუთარი როლი საკრებულოში. არც ბიუჯეტს დაუჭირეს მხარი და არც ალტერნატიული წინადადებები შემოუთავაზებიათ, ძირითადად, დესტრუქციული ქმედებებით არიან დაკავებულები. არადა, ყველა წარმოდგენილი ინიციატივა, პროექტი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული. მათ შორის გამოვყოფდი მონაწილეობით ბიუჯეტს, სოფლის პროგრამას, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებს, რომლის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება და სულ უფრო მეტი პროექტი ხორციელდება მოსახლეობის ჩართულობით.

- ხომ არ გაიხსენებთ პროექტს, რომელიც ხელახალი გადასინჯვისთვის მერიას დაუბრუნდა?

- არა, ასეთი არ მახსენდება, რადგან ყველა პროექტი და წინადადება მოსახლეობის კეთილდღეობაზეა მორგებული, თანაც იგი კომისიების სხდომებზე განიხილება და პლენარულ სხდომაზე შემდეგ შემოაქვთ. მერიასა და საკრებულოს შორის სრული თანხმობაა, ყველა საკითხი, რომელიც მერის მიერ არის ინიცირებული, საკრებულოს უმრავლესობასთან წინასწარ შეთანხმებული და მომზადებულია. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, გადაწყვეტილებები მერსა და საკრებულოს კარგი კომუნიკაციის საფუძველზე იყოს მიღებული. ის, პირველ რიგში, მოსახლეობის ინტერესებს ემსახურება.

- როგორ მიმდინარეობს დაბა ქედის ცენტრის კეთილმოწყობა?

შესაბამისი საფეხმავლო ბილიკი. ვფიქრობ, დღეისათვის დაბა ქედის ცენტრი საკმაოდ მოწესრიგებულია.

- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, 150-ზე მეტი დიდი და მცირე ინფრასტრუქტურული, სოციალური და კულტურული პროექტი ხორციელდება. საკრებულოს რა როლი აქვს ამ პროექტში?

- 7 მაჟორიტარული ოლქი გვაქვს. ყველგან ჩვენი პოლიტიკის გამტარებლებს დაუჭირეს მხარი. საკრებულოს უმრავლესობის ყველა წევრი მერიის პროექტების განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობს. ტარდება მოსახლეობასთან შეხვედრები, რომ მაქსიმალურად იქნას შესწავლილი, განხილული და დადებითად გადაწყვეტილი პრობლემები.

- მახსოვს, სასწორის პინაზე იდო მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გამარჯვება ხარაულის თემში...

- პირველ ტურში იყო რიგი საორგანიზაციო ხარვეზები, რაც მეორე ტურში გასწორდა და გამარჯვებაც მოვიპოვეთ. ამ ოლქში არჩეული ოთარ ხარაძე ახლა კომისიას განაგებს. ისიც ჩემსავით სპეციალობით ექიმია და მოსახლეობაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, ისევე, როგორც სხვა მაჟორიტარი დეპუტატები.

- დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, პროფესიულ საქმიანობას არ ღალატობთ.

- ძალიან ბედნიერი ვარ, როცა პაციენტს ვეხმარები. 37 წელია ექიმად ვმუშაობ და ამ პროფესიას ვერ ვუღალატებ. სამედიცინო მომსახურებას ქედაში მოსახლეობა არ ემდურის. ექიმთა თაობის ცვლის პროცესიც ნორმალურად მიმდინარეობს.

- განათლების, კულტურისა და სოციალურ სფეროში რა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას ჰპირდებით მოსახლეობას?

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზრუნავი ყველა სფეროა. არსებული ბიუჯეტის ფარგლებში, მაქსიმალურად ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ ისეთი დარგების განვითარებას, როგორებიცაა: კულტურა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური საკითხები, ტურიზმი. წელს მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება ამ მიმართულებით. გამოვყოფდი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების დაფინანსების მიზნობრივ პროგრამას, ასევე მედიკამენტების შესყიდვის დაფინანსებას და სხვა. მნიშვნელოვანია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, მინისტადიონების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. მაქსიმალურად ვცდილობთ, ტურიზმის განვითარებას ხელი შევუწყოთ. ქედა ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია ამ მხრივ, ბევრი პროექტიც დაფინანსდა. მოეწყო ინფრასტრუქტურა სხვადასხვა საინტერესო ლოკაციაზე. მიმდინარეობს ახალი პროექტების მომზადება და მალე სხვა ღირშესანიშნაობებიც განახლდება.

- აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით, მოსახლეობასთან შეხვედრები იმართება. რას ითხოვს მოსახლეობა?

- მისასალმებელია, რომ ეს არ არის წინასაარჩევნო შეხვედრები, დაპირებული და შესრულებული საქმეები არ ჩაითვლება საარჩევნო კამპანიად. შეხვედრები ყველა სოფელსა და დასახლებულ უბანში ორგანიზებულად, მოსახლეობის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს. რიგი საკითხები სამუშაო ვითარებაში წყდება, ხოლო გლობალურის თაობაზე მუნიციპალიტეტი და აჭარის სამინისტროები ვიმუშავებთ.

- ახალგაზრდების სურვილებსა და წინადადებებს თუ ითვალისწინებთ?

- ახალგაზრდების ჩართვა ნებისმიერ საქმეში ჩვენთვის პრიორიტეტია, ამიტომ მოვუწოდებთ მათ აქტიურობისკენ, ვთავაზობთ ყველა საკითხის განხილვაში მონაწილეობას, მოსაზრებების წარმოდგენას. მისასალმებელია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში არიან ჩართულები. დარწმუნებული ვარ, ბევრ საინტერესო იდეას შემოგვთავაზებენ, რაც საშულებას მოგვცემს, ვიზრუნოთ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. შეხვედრებში ახალგაზრდებიც მონაწილეობენ. ისინი პირად, სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე საუბრობენ, შესაბამისად, ვცდილობთ პრიორიტეტების მიხედვით, თანდათანობით, ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში.

„მედიატორთა ასოციაციის“ ინფორმაციით...

„საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილმა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ თავმჯდომარე გიორგი რომანაძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელიც მიზნად საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობას, ინსტიტუციური განვითარებისა და დარგის პოპულარიზაციის მიზნით, ერთობლივი ღონისძიებების, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას ისახავს.

„აღსანიშნავია, რომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა“, როგორც აჭარის რეგიონში დანერგვა/პოპულარიზაციის დავის გადაწყვეტის ალტერნატიულის მექანიზმის, ასევე მედიაციის მექანიზმის გამოყენების ხელმისაწვდომობის მხარდამჭერი იქნება“, - ნათქვამია საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უკრაინის პრეზიდენტს ახალი ეკონომიკური და სამხედრო ალიანსის შექმნა შესთავაზა, რომელიც ევროკავშირის ალტერნატივა იქნება. ამის შესახებ იტალიური გამოცემა **Corriere Della Sera** წერს. მისივე ინფორმაციით, მსგავსი შეთავაზება ჯონსონმა კიევში ვიზიტისას, 9 აპრილს გააჟღერა. „დიდი ბრიტანეთის პრემიერი მიიჩნევს, რომ ალიანსში უნდა შევიდნენ ქვეყნები, რომლებსაც ბრიუსელის მიმართ უნდობლობა და რუსეთის სამხედრო აგრესიაზე გერმანიის რეაქცია აერთიანებთ“, - წერს გამოცემა. მისივე ცნობით, ახალი ალიანსის წევრები იქნებიან დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, პოლონეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა და, სავარაუდოდ, თურქეთიც. აღნიშნულს ეხმაურება რუსული მედიაც. მათი ინფორმაციით, ჯონსონის წინადადებაზე ჯერჯერობით არ გაჟღერებულა უკრაინის პოზიცია, რაც დამოკიდებული იქნება ევროკავშირის პასუხზე კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით.

* * *

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰოსეინ ამირ-აბდოლაჰიანმა დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადა, რომ გასულ კვირას თავის რუს კოლეგა სერგეი ლავროვს შესთავაზა, რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებებს ოფიციალურმა თეირანმა უმასპინძლოს. როგორც მან აღნიშნა, ირანი მხარს უჭერს დიალოგსა და დიპლომატიას, უკრაინაში კონფლიქტი კი „აშშ-ისა და ნატოს პროვოკაციული ქმედებებით“ იყო გამოწვეული. ირანის საგარეო უწყების ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ დასავლეთმა კრემლის პროვოცირება მოახდინა რეგიონში მათი სამხედრო ყოფნის გაფართოების მიზნით.

* * *

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ თუ დასავლეთი რუსეთის ტერიტორიაზე პოტენციური დარტყმისთვის კიევს დიდ რადიუსზე მოქმედ იარაღს მიაწვდის, ეს იქნება ნაბიჯი მიუღებელი ესკალაციისკენ. რუსმა დიპლომატმა ევროპელ პოლიტიკოსებს, რომლებმაც „საღი აზრი შეინარჩუნეს“, მოუწოდა, აღკვეთონ ესკალაციის ახალი რაუნდი. „ჩვენ ყველაზე სერიოზულად გავაფრთხილეთ დასავლეთი, რომ ისინი უკვე აწარმოებენ არაპირდაპირ ომს რუსეთის ფედერაციასთან უკრაინელი ნეონაცისტების ხელებით, სხეულითა და ტვინით, მაგრამ შორი მოქმედების იარაღის მიწოდება იქნება სერიოზული ნაბიჯი მიუღებელი ესკალაციისკენ“, - დასძინა ლავროვმა.

* * *

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო აცხადებს, რომ საჭიროა, უკრაინის საზღვართან ქვეყნის შეიარაღებული ძალების სამხრეთის ოპერატიული სარდლობა შეიქმნას. „სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ეს ოპერატიული სარდლობა. იქნება სამხრეთი მიმართულება დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ სარდლობასთან ერთად“, - აღნიშნა ლუკაშენკომ. მისივე თქმით, გამოსცა განკარგულება, რომ ჯარებმა, სპეცოპერაციების ძალებმა და ბატალიონის ტაქტიკურმა ჯგუფებმა სამხრეთში მესაზღვრეებთან ერთად დაიცვან საზღვარი, მანამდე ვიდრე ზემოაღნიშნული ოპერატიული სარდლობა ჩამოყალიბდება.

მოამზადა
ია შველიძემ

ზურაბ გორგილაძე – 85

წელს, 5 მაისს ცნობილ ქართველ პოეტს, ჩვენი მხარის, სრულიად საქართველოს საამაყო შვილს, პოეტ ზურაბ გორგილაძეს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

ეს წელი მთლიანად ამ საიუბილეო თარიღს ეძღვნება

ოფიციალურად ეს მნიშვნელოვანი თარიღი დღეს, 28 მაისს აღინიშნება.

ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში, სადაც ზურაბ გორგილაძეა დაკრძალული, დღის 12 საათზე საზოგადოებრიობა შეიკრიბება და პატივს მიაგებს მის ხსოვნას.

აქედან გადაინაცვლებენ პოეტის მშობლიურ სოფელ ხალაში, სადაც ჩამობრძანებულ სტუმრებთან ერთად, მისივე სახლ-მუზეუმში, საიუბილეო თარიღს საზეიმოდ აღინიშნავენ.

ნედლსალამურებიანი პოეტი

დღეს კაცობირობა ეძებს გენიალური რუსთაველის საფლავს. ზოგს ჰგონია იგი გელათშია, ზოგს - სამხრეთ საქართველოში, ზოგს - ისრაელში... სანამ კაცობრიობა იარსებებს, რუსთველის საფლავს ვერ ნახავს, რადგან ის ჩამოვიდა ციდან, ფეხი არ დაუდგამს მიწაზე, დაწერა „ვეფხისტყაოსანი“ და წავიდა ცაში. ღმერთებს მიწაში არ ეძებენ.

„უცებ გამელვიძა...შიშის სასთუმალზე,
ცრემლის ცხელი კონა დავდე,
ღმერთმა დაგვიფაროს,
ღმერთმა,
საქართველოს ორი რუსთაველი ჰყავდეს!“

ქართული პოეზიის მერიდიანი გადის ჩარგალზე, სადაც დაიბადა ვაჟა-ფშაველა. ქართული პოეზიის გრძედი გადის ჭყვიშზე, სადაც დაიბადა გალაკტიონი, ხოლო ქართული პოეზიის განედი გადის ხალაზე, სადაც დაიბადა ზურაბ გორგილაძე.

„ღმერთო დიდებულო, მოველ აღსარებად,
ამ ბრმა აგონიით იქნებ განგებ მცდიდი,
ისე ძვირფასია ჩემი გამწარება,
არცერთ სიხარულში რომ არ გაგიცვლიდი“.

დიახ, ჩემო ზურაბ, ამიტომაც გადის ქართული პოეზიის განედი ხალაზე. ჩოლოქსგამოღმა საქართველოში უკვე „მეზობელის გოგოსავით გაუშავდა თვალი მტევანს“, მიხარია, რასაც ვაკეთებ და გავაკეთებ შენი ლექსის საჯილდაოდ და არამარტო... ჩემი დაფინანსებით გაკეთებული „ჩაუმქრალი სანთლების“ ხეზე ამოტვიფრული კარედი ბათუმშია, ხოლო ქუთაისში გამოცემული გაზეთები, „სიტყვავ ბატონოთი“ გაცისკროვნებული, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საელჩოებსა და ქართულ სათვისტომოებს ამშვენებს.

დიახ, ჩემო ზურაბ, ცისფერყანწელების ქალაქიდან გეფერები და ბოლოს ჩემს ნაცოდვილარსაც მივაყოლებ, ფილტვებდაგლეჯილ ლადო ასათანს რომ მივუძღვენი:

„დამაგვიანდა შენზე სიტყვის თქმა
ამ სტრიქონებსაც სიმწრით ვახერხებ,
რა დაგიშავე, ლადო, ასეთი,
სიზმრად ლექსებით რომ გამახელე.
აბასთუმანში შენი პალატა
უკვე ვერ იტევს ამდენ მნახველებს,
შენ კი დერეფნის ბოლოს დგახარ და,
დგახარ და, მარტო რითმებს ახველებ“

მიყვარხარ და მენატრები, შენი

მერაბ კვიცარიძე,
ქუთაისის დიმიტრი ნაზარიშვილის კლინიკის
დირექტორი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე,
ზურაბ გორგილაძის პრემიის ლაურეატი

ისევ შეხვედრამდე, ზურაბ...

აღარც ვიცი, დამრჩა კი რამე უთქმელი... ან რა გითხრა ასე სახალხოდ და სახელდახელოდ, ჩემი არ იყოს, კალენდარული სიყვარულის მომხრე არც შენ იყავი... ყველაზე დიდი ფასი მონოლოგს აქვს პოეტისთვის, დიალოგსაც ახლავს გულწრფელობის რაღაც ხარისხი, მაგრამ ყველას გასაგონად თქმულში „მე“ უფრო მეტია, ვიდრე „შენ“ და მთქმელს უფრო ამკობს, ვიდრე ადრესატს, მე კი ამ საერთო სახალხო სიყვარულის წილში ვერ ჩაგიჯდები... მძიმეა დასაფიქრებლად და სათქმელად - კიდევ უფრო უხერხული, რაც უფრო ვცოტავდებით მიწის ქვემოთ, მით უფრო იზრდება მიწის ზემოთ ჩვენი სახელი... ყველა ვალს აგინაზღაურებს სამშობლო შენი, როგორც პოეტს, როცა აღარ იქნები, მაგრამ რა ვუყოთ მარადიული ბავშვის ხატს, მუდამ გაწბილებულს, ფანჯარაზე მიკრულ ცრემლიან სახეს, ხან სახლიდან წასული დედა რომ ენატრება და ხან ტრაგიკულად დაღუპული ძმის სახება... დიდი აუდიტორიები, სადაც შენნაირ პოეტს განა ტაშს დაამადლიან?! - იქამდე მიგიშვან უნდა, ეგაა მთავარი... აქ უამრავ სიტყვას მოგაყრიან დასაჭკნობად განწირული ყვავილებივით, შენ კი თითქოს დგახარ და ახარისხებ - „ეს კარგია...ო, ეს არა, ეს ისაა, რაც სხვებზეც არაერთხელ გითქვამთ და საჩემოდ ვერ მივიღებ“... მინდა გკითხო - როგორ ხარ ყველასი ასე მარტოსული, როგორ ანიჭებ ასეთ სიხარულს ამდენი სხვადასხვა ყალიბისა და გემოვნების ადამიანს, როცა ასეთი უბედური ჩანხარ ხანდახან... ჩვენი დიალოგი გაგრძელდება, ვიდრე შემეძლება წასული ძმების ტარება, მერე კი ვიღაცა ერთად გვიტვირთებს, ალბათ, სანთლებისა და სასმისების თანხლებით... ისევ შეხვედრამდე, ზურაბ!!!

ვახტანგ ღლონტი

ტაშისთვის ერთი სტრიქონიც არ წამოსცდენია

5 მაისს 85 წლის გახდებოდა ნაღდი პოეტი, ბობოქარი, ერის სულიერებაში ჩაკირული, ჩადუღაბებული, ქვეყნის მაჯისცემას მიყურადებული ზურაბ გორგილაძე.

ზურაბის ყოველი ახალი ლექსი დასტური იყო იმისა, რომ ამ პოეტის კვალი ღრმად და სამუდამოდ აღიბეჭდებოდა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ პოეზიაში.

თავის სიდიადეს თვითონაც გრძნობდა. თავისი ფასი იცოდა. „და შენ იქნები პირველი მოწმე, სამშობლო როგორ დამადგამს გვირგვინს“, - იწინასწარმეტყველა. სამშობლომ, დიახაც, დაადგა გვირგვინი. ბათუმის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა მისი სახელობისაა, ამ ქუჩის გასწვრივ მდებარე მშვენიერ პარკს მისი ბიუსტი ამშვენებს, მის სახელს ატარებს სკოლები და კულტურული დაწესებულებები, მის ლექსებს სწავლობენ, იშვიათია აჭარაში ქორწილი, დღეობა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მგონი ქელეხიც კი, ზურაბის ლექსი რომ არ გაჟღერდეს. სახალხოობა მგონი უკვდავებაა, სხვა არაფერი.

მისი ცხოვრება არც არაკს ჰგავდა და არც ზღაპარს. ის იყო მოზარე, ვიდრე მომღერალი აკაკის ცრემლებით გამთბარი ქვეყნისა.

აჭარა, დაჯვარული ქვებით მოფენილი მისი მთა და ბარი, სევდიანი, ავბედითი წარსული, ტკივილებმოშუშებული დღევანდელობა, სათნოებით, ღირსებით შემკული, ზნეკეთილი ადამიანები იყო ზურაბის პოეზიის სუნთქვაც და მაჯისცემაც. ამიტომაც მაღლიდან გროშივით გადმოყრილი ტაშისთვის ერთი სტრიქონიც არ წამოსცდენია.

სარფიდან დარიალამდე საქართველოთი შეძრული, ქვეყანას ლეჩაქით ზომავდა და მის დიდებას ხანჯლებით წერდა. სარფის გადაღმა დარჩენილი მამულები სტკიოდა, ჩვენებურების ბედზე დარდობდა და ავად მოქირქილეებს ეევედრებოდა: „შიგნით რას მერჩი, ქართველო, გარეთ გვყავს გადასარჩენი“.

ვამაყობ, მისი მეგობარი რომ ვიყავი. რაკი ხშირად, ცრემლებით განბანილ თვალებს სიცილით იმშვენებდა, მის მეგობრებს ნაკლებად გვესმოდა „ხარხარში ჩაკლული ტკივილის დიდება“.

სხვებზე უკეთ იცოდა, რომ ძნელი იყო საქართველოს შვილობა და როცა უფრო ძნელი ქართველობა დარჩა, კოლხეთივით სევდიანმა და კახეთივით ჯავრიანმა ნიღბები ააგლიჯა ფსევდორაინდებს და ერს სიყვარულისკენ მოუწოდა.

სახელი და დიდება ყოველთვის ჰქონდა, არც მოშურნეები კლებია, მტრობის სიმწარეც განუცდია ბევრჯერ, მაგრამ სიძულვილისთვის გულისგულში ადგილი არასოდეს მიუჩენია.

ამიტომაც დარჩა დიდი პოეტის, კაი ყმისა და რაინდის სახელით.

დავით თედორაძე,
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი
კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე

ზურაბის ეპოქაში დაბადება იღბალია

მართლაც, განსაკუთრებული იღბალია საჭირო, ისეთი დიდი პოეტის ეპოქაში რომ დაიბადო, როგორიც ზურაბ გორგილაძეა, მაგრამ ამასთან ერთად, ბედნიერ ვარსკვლავზეც უნდა იყო დაბადებული, თუ ასეთი გენიოსი „მისად“ ჩაგთვლის და მასთან დამეგობრების უფლებას მოგცემს... მადლობა უფალს, როგორც მის უმცროს მეგობარს, ამ დიდებული შემოქმედის გვერდით ფეხაკრეფით სიარულის შესაძლებლობა მან და მისმა ლამაზმა ოჯახმა რომ მაჩუქა...

მე და ჩემს მეგობრებს გვახსოვს მისი ხმახაფი მქუხარება - სადაც ის გამოდიოდა, ყველაფერს ფარავდა, ყველას გულსა და სმენას იპყრობდა... არადა, ერთი ჭირი გვჭირს ქართველებს... დროულად ვერ ვაცნობიერებთ ჩვენ გვერდით მყოფთა სიდიადეს, რადგან მათ ჩვენი დრო, სივრცე და ყოფითი არეალი აქვთ „მისჯილი“. ისინი ჩვენ გვერდით ხომ რეალურნი და ხელშესახებნი არიან, მითებითა და ლეგენდებით კი წასვლის მერე უნდა შეიმოსონ. ლეთას მდინარეს მიმდგართ მივადევნებთ ქებას, დიდებას, ცრემლებს... თუმცა დიდი ზურაბი გამონაკლისი იყო, იგი სიცოცხლეშივე ხალხის უსაყვარლეს პოეტად იქცა. პატივისცემას, მოკრძალებას და მისი ლექსისადმი თავგადაკლულ სიყვარულს ფიანდაზად უფენდნენ, ენდობოდნენ, უსმენდნენ...

დიდი ზურაბი... ეს ის შემოქმედია, რომელმაც ღვთაებრივი სინდისის ფორმულას მიაგნო და დემონთა ზვიად მუზებს ისე შეება, როგორც ღმერთს - ბრძენი იაკობი:

„ვგრძნობდი!... უამურ ფლატეებში მიმოფანტული,
ღვთაებრივ სინდისს მოითხოვდა სიტყვა - ქართული...
და დემონების ზვიად მუზებს, მკლავდაკვართულმა,
ვასწავლე სუნთქვა და ცახცახი... მხოლოდ - ქართულად“.

საოცრად მგრძნობიარე იყო, ცხადად გრძნობდა სიყვარულსაც და ფეხდაფეხ ადევნებულ შურსა და მტრობას, ჭორსა და ჭირს და ალბათ, ამიტომ აღმოხდა: „ზოგჯერ ალერსიც ფარულ დევნას უცხადებს პოეტს“.

მაგრამ, მიხვდა რა ამქვეყნიურ ამაოებათა ამაოებას, ბედნიერების ძიებაში მიაგნო ერთ ყველაზე ნათელ ჭეშმარიტებას, ხელთათმანივით გადმოგვიგდო და დუელში გამოიწვია შურის, ბოღმის, სიძულვილის ჭაობისკენ მიმავალ ადამიანთა მოდგმა:

„სიძულვილს ისევ ჩერჩეტი სიყვარული სჯობს, ძამა!“

ნამდვილად ასეა, მაესტრო!

ბელა ქებურია

ჩვენი თაობის წინ წამძღვარებული ლამპარი

ზურაბ გორგილაძე ჩემი საყვარელი პოეტი და ჩვენი თაობის წინ წამძღვარებული ლამპარია. პოეზიის სრულფასოვნებას მე პირადად ზურაბ გორგილაძის შემოქმედებამ მაზიარა. ეს არის ჩვენი კუთხისთვის ის გენეტიკურ-ლიტერატურული კოდი, რომლითაც ვამაყობთ და რომელიც საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნერვად უფეთქავს. არიან კლასიკოსები, სხვა ბუმბერაზი მწერლები და პოეტები, თუმცა ის გარემო და აურა, რომელსაც მე თავს შევაფარებდი და საცხოვრებლად სამუდამოდ გადავიდოდი - ბატონი ზურაბის პოეზიაა, სადაც თითოეული სიტყვა ნაფერებ-ნალოლიავები და პოეტის ლოცვით არის გაჯერებული. ეს ლოცვა არის სწორედ ის სუნთქვა, რომლითაც ენაცვალება სამშობლოს ავტორი - „საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა.“ ვულოცავ ჩვენს ქვეყანას ზურაბ გორგილაძის 85 წლის იუბილეს და ვუსურვებ მისი ლექსებით გულანთებული ქართველების სიმრავლეს!

როინ აბუსელიძე

ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲐᲚᲐᲒᲔ...

ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ზურაბ გორგილაძის შემოქმედებას მისდევს და მისი პოეზიით სულდგმულობს. უფალმა მარგუნა არაერთი მისი შემოქმედებითი საღამოს ორგანიზების პატივი, მასთან საუბრები და შეხვედრები, რომლებიც ჩემთვის შეუფასებელი სიმდიდრე გახდა. ადვილი იყო მასთან მუშაობა, რადგან უბრალო იყო და ამასთან, ძალიან დიდი.

ზოგჯერ ზურაბის ლექსებისგან მომდინარე ჭარბი ემოციებისაგან სუნთქვაც კი მეკვრება, ისეთი ძალა და ენერგია მოდის მათგან, მისი პოეზია აბობოქრებულ მდინარეს ჰგავს, რომელიც ვერცერთ კალაპოტში ვერ ეტევა.

აჭარული დიალექტი ყველაზე უკეთ ზურაბ გორგილაძემ აამღერა თავის პოეზიაში, ეს დიალექტი მისი ლექსებიდან ამოხეთქილი აჭარის წარსულს მაგონებს. რაც დრო გადის, ზურაბის პოეზიასაც ემატება თაყვანისმცემელი, ოჯახებში სამაგიდო წიგნად დაიდო ბინა მისმა პოეზიამ, სიდიადე და ნიჭიერება დააბერტყა უფალმა პოეტს და სამზეოზე გამოატანინა ლოდიძირში შემონახული დიდქართული, აჭარული...

ოცდაათწლიანი მეგობრობა მაკავშირებს ზურაბ გორგილაძესთან და მის უსათნოეს ოჯახთან. მასთან სტუმრობა და საუბარი ყოველთვის ერთი დიდი სიცოცხლე იყო ჩემთვის. ეს ახლაც გრძელდება. ხშირად მიმიწევს გული მისი ოჯახის მოსანახულებლად. ჩვენ სხვა თემა არ გაგვაჩნია, ვიწყებთ ზურაბით და ვამთავრებთ მისი პოეზიით. ამ პატარა სახლის დიდ დიასახლისს, ლეილა დავითაძეს სამაგალითოდ აქვს აკინძული ზურაბის მთელი შემოქმედებითი გზა, სიყვარულის საოცარი ისტორია, კიდევ ბევრი შეუცნობელი და ამოუხსნელი რამ ზურაბის შემოქმედების შესახებ, რაც გარდაცვალების შემდეგ გავიგეთ. მათ სახლს ბათუმში, გამსახურდიას ქუჩაზე თავისი ხიბლი აქვს, იქ ჩემთვის ზურაბი ცოცხლობს...

უფალი არ გამოგვივლევს სამშობლოზე თავდადებულ და მოდარდე პოეტებს, მაგრამ მამულის სიყვარულში ისე დაფერფლილი პოეტი, როგორიც ზურაბ გორგილაძე იყო, იშვიათია. საქართველოში, როგორც არსად, ისე აქვს ფასი სიტყვას - „სიტყვავ ბატონო“... ჩვენთან ვერ ნახავ ლხინისა და ჭირის სუფრას, სადაც ზურაბის ლექსი არ გუგუნებდეს. ეს ხომ ჭეშმარიტი სახალხო პოეტის ხვედრია...

ასე მგონია, ზურაბის პოეზია სრულიად საქართველომ მისი სიკვდილის შემდეგ უფრო გაითავისა. მისი ლექსები საქართველოს ყველა კუთხეში მოგზაურობს, გულმხურვალედ ამბობს იქაური კაცის სათქმელს. მისდამი სიყვარული თანდათან ეფინება სრულიად საქართველოს... ზურაბის ლექსები უცრემლოდ არ იკითხება, გულის ყველა სიმს არხევს, სულს წმენდს, მისი თითოეული სტრიქონიც კი ცალკე ლექსია, რომელიც ჩუქურთმასავით არის გამოთლილი.

ზურაბ გორგილაძემ ერის სათქმელის თქმა მოასწრო და წმინდა საკურთხეველზე მიუტანელიც არ დატოვა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გადაწყვეტილებით, საქართველოს ღირსეულ მამულიშვილებს ფრიდონ ხალვაშსა და ზურაბ გორგილაძეს ბათუმის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის ეზოში რომ მიუჩინეს განსასვენებელი, კითხვა არავის გასჩენია - ეკუთვნოდათ.

ალბათ, მოვა დრო და მადლიერი შთამომავლობა აუსრულებს პოეტს აუხდენელ ოცნებას და დედაქალაქში, რუსთაველის გამზირზე წაიკითხავს - „საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა“. დიდი რუსთაველის სახელოვანი პრემიაც, ვფიქრობ, ზეციურ საქართველოში გაუბრწყინებს სულს.

ᲩᲘᲢᲝ ᲝᲛᲔᲠᲐᲫᲔ,
ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲝᲤᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲘᲗ ᲕᲔᲤᲔᲠᲔᲑᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲑᲝᲑᲝᲥᲐᲠ ᲡᲣᲚᲡ

შინდისფერი იყო ჩვენი დროშის ძირითადი ფერი, ასეთივე ფერის იყო მამაჩემის „ნივაც“ და უკანა სავარძელზე თუ დამხვდებოდა ასევე შინდისფერნარევი „მალბოროს“ მთელი ბლოკი, უკვე ვხვდებოდი, რომ გეგელიძეებში მივდიოდით. იქ ასვლა კი ძირფესვიან სიყვარულთან იყო დაკავშირებული. ზურაბ გორგილაძესთან სტუმრობისას დრო საღამოდან დილამდე შეუმჩნევლად გადიოდა. ხშირად საკუთარ თავს ვუსვამ კითხვას: ვისთან დამყავს მე ჩემი ყაჩაღი (ნუგზარის საყვარელი ეპითეტი) შვილები? პატარაობისას ხომ განსაკუთრებული სიმძაფრით იმახსოვრებ ყველაფერს - სიხარულსაც და ტკივილსაც. ჰოდა, დღევანდელ დღესავით მახსოვს განსაკუთრებული ასვლა-სტუმრობები ზურაბ გორგილაძესთან, „მიზეზებს“ რა დალევდა - დობერმანის საჩუქრად მიღებაც მიგვიღოცავს და ასევე მოწადინებულად აღგვინიშნავს კვარაცხელიას ჯიშის ძროხის ჩუქებაც.

ბევრი კადრი, ფირი, მოგონება და უფრო მეტი სევდანარევი სიამაყე მადიდგულებს, რომ უფლის ნებითა და მამაჩემის წყალობით, „ამფერ აჭარელთან“ შეხვედრების, მასთან ერთად მოლხენის და მისი დიდი, სიყვარულით სავსე გულის დანახვის ბედნიერება მხვდა წილად.

ქალბატონი ლეილას მორთმეული სახელდახელო თუ წინასწარ მომზადებული კერძებით სავსე სუფრასთან ჩვენს ბულბულთან, ნუგზართან და ნათლიაჩემ დავითთან ერთად, რაც მე აკადემიურ-აღმზრდელობითი საღამოები გამითენებია, იმდენი ნათელი მათ სულებს და სიკეთე მომავალ თაობას.

ლექსებსა და შემოქმედებაზე საუბარი სხვების საქმე უფროა, მე კი თბილი მოგონებებით, მონატრებით ვეფერები ზურაბ გორგილაძის ბობოქარ სულს.

ᲖᲐᲐᲚ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ



„ᲡᲐᲥᲡᲢᲐᲢᲘ“ - 2021 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲓᲐ

2021 წელს საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი), წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 3.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 17.5 პროცენტი შეადგინა, - ინფორმაცია ამის შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გუშინ გაავრცელა.

„საქსტატის“ ცნობით, 2021 წელს აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებში 2.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 6.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 21.3 პროცენტი შეადგინა.

„2021 წელს, სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. კერძოდ, 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მაჩვენებელმა 22.7 პროცენტი შეადგინა (-3.7 პროცენტული პუნქტი), 18-64 წლის ჯგუფში - 17.3 პროცენტი (-3.9 პროცენტული პუნქტი), ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის ჯგუფში - 11.9 პროცენტი (-3.5 პროცენტული პუნქტი). აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი როგორც ქალებში, ისე კაცებში შემცირებულია 3.8 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 17.1 და 17.9 პროცენტს შეადგენს.

2021 წელს მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 18.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 7.4 პროცენტი შეადგინა.

2021 წელს, წინა წელთან შედარებით, ჯინის კოეფიციენტი (უთანასწორობის მაჩვენებელი) მთლიანი შემოსავლების მიხედვით არ შეცვლილა და 0.37-ის ნიშნულზეა, ასევე, არ შეცვლილა ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობა მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით და 0.39-ს შეადგენს. ჯინის კოეფიციენტი შემცირებულია მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით - 0.36-დან - 0.34-მდე, ხოლო მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით უცვლელია და შეადგენს 0.42-ს“, - აღნიშნულია „საქსტატის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მოამზადა
ᲘᲐ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ

26 მაისი – აჭარის მთიანეთში

ქედა

საზეიმო ღონისძიებები დამოუკიდებლობის სკვერში გაიხსნა. მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, საკრებულოს წევრი ოთარ ხარაძე, სხვადასხვა უწყების, საზოგადოების წარმომადგენლები ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერის - ყადირ შერვაშიძის ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

სკვერში მოზარდებმა თემატური ნახატების გამოფენა მოაწყვეს. ღონისძიება ანსამბლ „ელესას“ ფოლკლორული ნომრების შესრულების ფონზე მიმდინარეობდა.

გაიმართა სპორტული აქტივობები.

შუახევი

შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა და საპატიო სტუმრებმა გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალი.

შეკრებილებს ღირსსახსოვარი დღე მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძემ, შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ.

შუხევის სახელოვნებო სკოლის, კულტურის ცენტრის ანსამბლებმა კონცერტი გამართეს. მოეწყო სპორტული შეჯიბრებები მკლავჭიდში, ნარდში. გამარჯვებულები დავით ტაკიძე და ზურაბ ქათამაძე ომარ ტაკიძემ სიგელებით დააჯილდოვა.

ზეიმის მონაწილეებმა დაათვალიერეს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა. დღის ცენტრის შშმ პირებმა სტუმრებს თავიანთი ხელოვნება გააცნეს.

ხულო

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სპორტული, კულტურული და გასართობი ღონისძიებები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ხულოში.

საზეიმო მსვლელობის შემდეგ ჩატარდა მუნიციპალური პირველობა უმცროსი ასაკის ვაჟებს შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. გამარჯვებული სპორტსმენები დააჯილდოვეს.

ხულოს საჯარო სკოლებს შორის ასპარეზობა მოეწყო მკლავჭიდსა და მაგიდის ჩოგბურთში, ჩატარდა მუნიციპალური პირველობა კალათბურთში. აქ პირველი ადგილი ოქრუაშვილების სკოლის გუნდმა დაიკავა.

ხულოს თეატრის წინ, სკვერში, მოეწყო სახელოვნებო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა.

იუსუფ ზოიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა საზეიმო კონცერტი. შეკრებილებს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე, ხულოს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნარგიზ დეკანაძე მიესალმნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს.

მოსწავლეებმა, პოეტმა ნანა შაინიძემ სცენაზე გააცოცხლეს საქართველოს ისტორიული წარსულის ეპიზოდები.

უკრაინა

უკრაინის სიდიდით მეორე ქალაქ ხარკოვში, რუსული დაბომბვის შედეგად, რვა ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, ხუთი თვის ჩვილი. დაშავებულია 17 ადამიანი. კიდევ სამი დაიღუპა თავდასხმების შედეგად ქალაქ ლისიჩანსკში და მის შემოგარენში. ხარკოვის ოლქის გუბერნატორმა ოლეგ სინეგუბოვმა განაცხადა, რომ 64 და 82 წლის ორი მამაკაცი დაიღუპა ქალაქ ბალაკლიაზე რუსეთის მიერ მიტანილი საჰაერო იერიშისას და დაშავდა კიდევ 10 ადამიანი, მათ შორის, ცხრა წლის გოგონა. უკრაინის სამხედრო ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ რუსული ძალები აგრძელებენ მცდელობას, ფეხი მოიკიდონ სევეროდონეცკის რაიონში..

* * *

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ასამბლეამ რეზოლუცია მიიღო, რითაც უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიას, მათ შორის, ჯანდაცვის ობიექტებზე თავდასხმებს გმობს. რეზოლუციას მხარი დაუჭირა 88 ქვეყანამ, წინააღმდეგ 12 სახელმწიფო წავიდა, 53-მა კი თავი შეიკავა. რუსეთმა ასამბლეას რეზოლუციის საკუთარი ვერსია შესთავაზა, რომელშიც მისი როლი უკრაინის კრიზისში არ იყო ნახსენები და ის კენჭისყრის გზით უარყოფილ იქნა. უკრაინის ელჩმა ევგენია ფილიპენკომ განაცხადა, რომ რეზოლუცია „ნათელ სიგნალს უგზავნის რუსეთის ფედერაციას: შეაჩერე ომი უკრაინის წინააღმდეგ, შეაჩერე თავდასხმები საავადმყოფოებზე“. „ჯანმოს ასამბლეამ დაადასტურა, რომ უკრაინაში ჯანმრთელობის კრიზისზე პასუხისმგებლობა ექსკლუზიურად ეკისრება რუსეთის ფედერაციას“, - აღნიშნა ფილიპენკომ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, 256 თავდასხმა დაფიქსირდა უკრაინის ჯანდაცვის დაწესებულებებზე, ტრანსპორტზე, პერსონალზე, პაციენტებზე, მარაგებსა თუ საწყობებზე.

* * *

რუსეთი გეგმავს, ახალი კანონი მიიღოს, რომლითაც მას საშუალება ექნება, აქტივები ჩამოართვას იმ დასავლური კომპანიების ადგილობრივ ბიზნესებს, რომლებიც რუსეთის დატოვებას უკრაინაში შეჭრის გამო გადაწყვეტენ. ინფორმაციას BBC ავრცელებს. მისივე ცნობით, აღნიშნული კანონი შესაძლოა, რამდენიმე კვირაში ამოქმედდეს. ცნობისთვის: ასობით საერთაშორისო ბრენდმა, მათ შორის Starbucks-მა, Coca-Cola-მ, Levi's-მა და Apple-მ რუსეთი დატოვა ან იქ შეაჩერა გაყიდვები მას შემდეგ, რაც ქვეყანა თებერვალში მეზობელ უკრაინაში შეიჭრა.

* * *

უკრაინის ყველაზე გადაუდებელი აუცილებლობაა მრავალჯერადი გამშვები სარაკეტო სისტემების (MLRS) ქონა, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის უპირატესობას ძმიმე შეიარაღებაში - ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ განაცხადა და დასძინა, რომ ქვეყნის აღმოსავლეთში ვითარება უკიდურესად ძმიმეა, ოფიციალურ კიევს კი რუსებთან საბრძოლველად მეტი იარაღი სჭირდება. „არტილერიის გარეშე, მრავალჯერადი სარაკეტო სისტემების გარეშე, ჩვენ ვერ შევძლებთ მათ უკან დახევას. თუ მართლა გაღელვებთ უკრაინა, თუ გსურთ, რომ უკრაინამ თავისი ტერიტორიების დეოკუპაცია მოახდინოს, გამოგვიგზავნეთ მრავალჯერადი სარაკეტო სისტემა, რაც შეიძლება მალე“, - აღნიშნა უკრაინელმა დიპლომატმა.

* * *

რუს ოკუპანტებს ყირიმიდან ზაპოროჟიეს ოლქში პერსონალი გადაჰყავთ და სამხედრო აღჭურვილობა გადააქვთ, - უკრაინული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ზაპოროჟიეს სამხედრო ადმინისტრაციის განცხადებაშია ნათქვამი. მათივე ცნობით, რუსეთის ფედერაციას ყირიმის ნახევარკუნძულიდან არა მხოლოდ სახმელეთო, არამედ საჰაერო და საზღვაო ძალებიც გადაჰყავს. სამხედრო ტექნიკის კოლონა ყირიმიდან მელიტოპოლისკენ გაემართა.

* * *

დონეცკის მიმართულებით ოკუპანტები აწარმოებენ აქტიურ შეტევით ოპერაციებს, ცეცხლს უხსნიან ჩვენს ქვედანაყოფებს, ახორციელებენ სარაკეტო დარტყმებს და ჯარების გადაჯგუფებას, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. მათივე ცნობით, სივერსკის მიმართულებით, რუსული ძალები აგრძელებენ ზომების მიღებას უკრაინა-რუსეთის საზღვრის გასაძლიერებლად ბრიანსკის და კურსკის ოლქებში. სლობოჟანსკის მიმართულებით, რუსული ძალები ამზადებენ პირად შემადგენლობას მოტორიზებული ქვეითი, სატანკო და საარტილერიო ნაწილების შესავსებად. ისინი ახორციელებენ ტერიტორიების დანაღმვას უკრაინის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების შესაძლო განლაგების მარშრუტებზე.

* * *

უკრაინის საზღვაო აკვატორიაში ოკუპანტებმა დაახლოებით 600 ჭურვი განათავსეს. ინფორმაციას ოდესის რაიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პრესმდივანი სერგეი ბრატჩუკი „ტელეგრამის“ გვერდზე ავრცელებს. მისი მონაცემებით, რუსეთმა უშუალოდ უკრაინის საზღვაო ზონა დანაღმა, თუმცა ჭურვები ხშირად ეხსნება ღუზებიდან, განსაკუთრებით - შტორმის დროს. ისინი ახლა, უკრაინის გარდა, თურქეთისა და ბულგარეთის სანაპიროებთანაც არის. ამასთან, როგორც სერგეი ბრატჩუკი აღნიშნავს, ჰუმანიტარული დერეფნების შესახებ განცხადებებით რუსეთის ფედერაცია „საინფორმაციო ალიბს იქმნის“, რათა სასურსათო კრიზისის შექმნაში უკრაინა დაადანაშაულოს. მისივე თქმით, ოკუპანტები ასევე მიზნად ისახავენ მთელი რიგი პროვოკაციების განხორციელებას, რათა უკრაინა სხვა ქვეყნების თვალში „გააშავონ“. „თუმცა სწორედ რუსეთია სასურსათო კრიზისის შემქმნელი ქვეყანა, რომელიც ახლა მთელ მსოფლიოს ემუქრება“, - განაცხადა ბრატჩუკმა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

პროდუქტები, რომელთა ექსპორტი ქვეყნებმა აკრძალეს ან შეზღუდეს

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ, მსოფლიო ბაზარზე მიწოდების ჯაჭვი დაირღვა, ზოგიერთ პროდუქტზე მოთხოვნამ კი ისე მოიმატა, რომ მწარმოებელმა ქვეყნებმა მათი ექსპორტი ან აკრძალეს, ან მკაცრად შეზღუდეს.

2 კვირის წინ მსოფლიოში ხორბლის მეორე უმსხვილესმა მწარმოებელმა - ინდოეთმა ექსპორტზე შეზღუდვები დააწესა. ქვეყანაში გვალვის შედეგად ხორბლის მოსავლიანობის 15-20%-იანი შემცირებაა მოსალოდნელი, ამ მარცვლეულის ექსპორტის აკრძალვამ კი ისედაც მკვეთრად გაძვირებული საკვები პროდუქტების ფასები კიდევ უფრო გაზარდა.

რუსეთ-უკრაინის ომამდეც საკვების ფასები ისტორიულ მაქსიმუმს აღწევდა საწვავისა და ენერგიის გაძვირების, გვალვებისა და კორონავირუსის პანდემიის ეფექტების შედეგად. ეკონომიკური სანქციების ზრდისა და ომის გაჭიანურების კვალდაკვალ პროდუქტები სულ უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომი ხდება და ქვეყნებიც შიდა ბაზარზე ფასების შესამცირებლად უფრო მეტად ფიქრობენ სხვა ქვეყნებისთვის პროდუქციის მიყიდვის შეზღუდვაზე.

გთავაზობთ იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომლებმაც რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი სასურსათო პროდუქციის ექსპორტი აკრძალეს ან მკაცრი შეზღუდვები დაწესეს.

ინდოეთი - ხორბალი (2022 წლის 31 დეკემბრამდე); **უკრაინა** - შვრია, ფეტვი, წიწიბურა, შაქარი, მარილი, ხორცი (2022 წლის 31 დეკემბრამდე. საექსპორტო ლიცენზიები დაწესდა ხორბალზე, სიმინდსა და მზესუმზირის ზეთზეც); **რუსეთი** - შაქარი და მზესუმზირის თესლი (2022 წლის 31 აგვისტომდე. ხორბალი, მესლინი, ჭვავი, ქერი და სიმინდი - 2022 წლის 30 ივნისამდე); **არგენტინა** - სოიოს ზეთი, სოიოს ფქვილი (2023 წლის 31 დეკემბრამდე); **ალჟირი** - პასტა, ზეთი, შაქარი, ხორბლის ნაწარმი (2022 წლის 31 დეკემბრამდე); **ეგვიპტე** - მცენარეული ზეთი და სიმინდი (2022 წლის 12 ივნისამდე. ფქვილი, ხორბალი, პასტა და ლობიო - 2022 წლის 10 ივისამდე); **ინდონეზია** - პალმის ზეთი (2022 წლის 31 დეკემბრამდე); **ირანი** - კარტოფილი, ბადრიჯანი, პომიდორი, ხახვი (2022 წლის 31 დეკემბრამდე); **ყაზახეთი** - ხორბალი, ხორბლის ფქვილი (2022 წლის 31 ივნისამდე); **კოსოვო** - ხორბალი, სიმინდი, ფქვილი, ზეთი, მარილი, შაქარი (2022 წლის 31 დეკემბრამდე); **თურქეთი** - საქონლის, ცხვრის და თხის ხორცი, კარაქი, ზეთი (2022 წლის 31 დეკემბრამდე); **სერბეთი** - ხორბალი, სიმინდი, ფქვილი, ზეთი (2022 წლის 31 დეკემბრამდე); **ტუნისი** - ხილი, ბოსტნეული (2022 წლის 31 დეკემბრამდე); **ქუვეითი** - ქათმის ხორცი, მარცვლეული, ბოსტნეულის ზეთი (2022 წლის 31 დეკემბრამდე).

ამირან გურიელიძე

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე...

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში განიხილეს უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძე უძღვებოდა. ინფორმაცია ამის შესახებ საკანონმდებლო ორგანომ გაავრცელა.

„მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გიგა ჩხარტიშვილმა მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების, ტელე-რადიო გადაცემების, ბიუჯეტის, სოციოლოგიური კვლევების შედეგების, სარეიტინგო მაჩვენებლების, შიდა და გარე აუდიტის დასკვნებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ისაუბრა. ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მრჩეველთა საბჭოს წევრებმა უპასუხეს კანონმდებელთა კითხვებს. კომიტეტმა მხარი დაუჭირა ანგარიშის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

მეორე საკითხად, სხდომაზე, „აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის თაობაზე“ უმაღლეს საბჭოში შემოსული პეტიცია განიხილეს. მისმა ავტორმა, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის მცხოვრებმა მაგდა ქათამაძემ პეტიციის მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრა. განხილვას, ასევე, ესწრებოდა საკითხით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ წარმომადგენელი.

კომიტეტმა, სათანადო მოსაზრებებისთვის, პეტიციის აჭარის მთავრობასა და მუნიციპალიტეტებში გადაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო.

ამავე სხდომაზე განიხილეს დადგენილების პროექტი - აჭარის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ, რომელიც კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძემ წარმოადგინა. კომიტეტმა მხარი დაუჭირა საკითხზე შემდგომი პროცედურების გაგრძელებას“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ია შველიძე

ჩოგბურთელებმა იასპარეზეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

თბილისში, სპორტსკოლა „არენა ერთში“ ჩატარებულ თორნიკე ღოღობერიძის სახელობის ტურნირზე მაგიდის ჩოგბურთში გოგონათა და ვაჟთა შორის, საქართველოს ქალაქებიდან და მუნიციპალიტეტებიდან წარგზავნილ სპორტსმენებთან ერთად, ხულოს მუნიციპალიტეტის ნაკრებმა გუნდმა იასპარეზა.

2010-2011 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის მესამე საპრიზო ადგილს დასჯერდა ელისაბედ კოჩალიძე (განახლების საჯარო სკოლა - მწვრთნელი გია ბოლქვაძე).

2012-2013 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ნატალია აბულაძემ (ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა - მწვრთნელი მინური რიყვაძე).

შეჯიბრებაში მონაწილე გუნდს ფინანსური მხარდაჭერა გაუწია ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ.

განახლებული მემორანდუმი გააფორმეს...

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დავით გურგენიძე საქართველოს საპატიო კონსულს ბავარიაში, მეცენატს, სტუ-ის საპატიო დოქტორს, მსოფლიოში წამყვანი ბავშვთა კვების მწარმოებელი კომპანიის Hipp GmbH-ის დამფუძნებელს, პროფესორ კლაუს ჰიპს შეხვდა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციით, დავით გურგენიძემ და კლაუს ჰიპმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ განახლებულ მემორანდუმს, რომლის მიზანია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და HiPP GmbH & Co. Vertrieb KG-ს შორის სამეცნიერო და აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობა და გაძლიერება.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლასა და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტთან ერთად, ბატონი კლაუს ჰიპი შეარჩევს წარმატებულ სტუდენტებს, რომელთა სწავლას თავად დააფინანსებს. ეს არის გზა, რომელსაც ბატონი ჰიპი, ჩვენს სამეცნიერო და აკადემიური თანამშრომლობა უცხოელ კოლეგებთან და პარტნიორებთან ერთად, აკეთებს, რათა ჩვენი უნივერსიტეტი ინტეგრირებული იყოს ევროატლანტიკურ სივრცეში. დიახ, როგორც დიდმა ქართველმა მიხეილ მუსხელიშვილმა თქვა, ჩვენი ადგილი ევროპაშია და სწორედ, ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან და კომპანიებთან ურთიერთთანამშრომლობა არის ერთ-ერთი საწინდარი ევროატლანტიკურ სივრცეში ადგილის დასამკვიდრებლად“, - განაცხადა სტუ-ის რექტორმა დავით გურგენიძემ. უნივერსიტეტი კომპანიას პერიოდულად მიაწვდის დიზაინის საერთაშორისო სკოლისა და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა სიას, საიდანაც კომპანია ორივე საფეხურის 2-2 სტუდენტს შეარჩევს, რომლებიც სამი წლის განმავლობაში სტაჟირებას HiPP GmbH & Co. Vertrieb KG-ში გაივლიან.

„მადლიერი და მოხარული ვარ, რომ დღეს მაქვს საშუალება, შევხვდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებისთვის ჩავატარო მასტერკლასები. სასიხარულოა, რომ სტუდენტები ცდილობენ, ფეხი აუწყონ საერთაშორისო მასშტაბების ცვლილებებს. ეკონომიკას სჭირდება კარგად განათლებული ადამიანები, უნივერსიტეტში კი ამისთვის ძალიან კარგი ბაზაა“, - განაცხადა კლაუს ჰიპმა. ის შეხვდა დიზაინის საერთაშორისო სკოლისა და აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტებს და მათ კონკურსის პირობები გააცნო. მასში გამარჯვებულ ოთხ სტუდენტს კლაუს ჰიპი სტუ-ის ფაკულტეტების დეკანებთან ერთად გამოავლენს. ისინი ერთთვიანი სტაჟირების გასავლელად, სრული დაფინანსებით, გერმანიაში გაემგზავრებიან.

ამირან გურიელიძე

პუტინმა უკრაინა მშვიდობიანი მოლაპარაკებების საბოტაჟში დაადანაშაულა



BBC-ის ინფორმაციით, აღნიშნული კომენტარი ავსტრიის კანცლერ კარლ ნეჰამერთან 45-წუთიანი სატელეფონო საუბრისას გაკეთდა. პუტინი უარყოფდა, რომ მისი ქვეყნის მიერ უკრაინის პორტების ბლოკირების გამო პრობლემა ექმნება მთელ მსოფლიოს სურსათის მიწოდების კუთხით. მან ერთ-ერთ მიზეზად ამერიკისა და ევროკავშირის სანქციები დაასახელა. ავსტრიის კანცლერმა განაცხადა, რომ პუტინთან საუბარი იყო დაძაბული და სერიოზული. მისივე თქმით, პუტინმა განაცხადა, რომ მზად არის უკრაინასთან დაპატიმრებულების საკითხი განიხილოს.

ამირან გურიელიძე

წყალი - ყველაზე აუცილებელი!

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

წყალი სასიცოცხლოდ აუცილებელი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ჩვენი ორგანიზმისთვის. იგი ადამიანის სხეულის 3/4-ს შეადგენს - არის უჯრედებში, უჯრედებს შორის, სისხლძარღვებში. წყლის ცვლის რთული სისტემა ორგანიზმში წყლის ბალანსს ინარჩუნებს და წყურვილის შეგრძნებით ვხდებით წყლის მიღების აუცილებლობას. სხეული წყალს გამუდმებით კარგავს სუნთქვის, ოფლიანობის, შარდვისა და დეფეკაციის დროს. როდის აკლია ორგანიზმს წყალი ანუ ხდება გაუწყლოება?

როცა ადამიანი იმაზე მეტ სითხეს კარგავს, ვიდრე იღებს, ვითარდება დეჰიდრატაცია - გაუწყლოება. ეს ძალიან საშიში მდგომარეობაა, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოხუცებში.

ბავშვებთან დეჰიდრატაციის ყველაზე გავრცელებული მიზეზია დიარეა და ღებინება. მოხუცების ორგანიზმში წყლის მოცულობა ბუნებრივადაც მცირეა, ამას აძლიერებს ზოგიერთი დაავადება ან მედიკამენტი.

მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის გაუწყლოების აღმოფხვრა შეიძლება მეტი სითხის მიღებით, მძიმე გაუწყლოების დროს კი სწრაფი სამედიცინო ჩარევაა საჭირო.

დეჰიდრატაციის ნიშნები სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაა: ახალშობილებსა და ბავშვებთან - პირის სიმშრალე, უცრემლო ტირილი, სამ საათზე მეტხანს მშრალი საფენი, თვალებისა და ლოყების ჩაცვენა, მოდუნება ან გაღიზიანება; ზრდასრულებთან - ძლიერი წყურვილი, გაიშვიათებული შარდვა, შარდის გამუქება, მოთენთილობა, თავბრუსხვევა, დაბნეულობა...

დეჰიდრატაცია მრავალმა მიზეზმა შეიძლება გამოიწვიოს: სითხის მიუღებლობამ ავადმყოფობის ან დაძაბული დღის რეჟიმის გამო, სასმელად ვარგისი წყლის უქონლობამ... შინაგანი ფაქტორებიდან აღსანიშნავია: დიარეა, ღებინება (იწვევს სითხისა და ელექტროლიტების დიდ დანაკარგს მცირე დროში); ცხელება (რაც უფრო მაღალია სხეულის ტემპერატურა, მით მეტია გაუწყლოების ხარისხი); ჭარბი ოფლიანობა (თუ ადამიანი ძლიერ ფიზიკურ დატვირთვას იღებს, სითხეს კი არ ივსებს, შესაძლოა დეჰიდრატაციის წარმოქმნა, განსაკუთრებით ცხელ და ტენიან ამინდში); შარდვის გახშირება (არადიაგნოსტირებულ ან ნებაზე მიშვებულ დიაბეტს და ზოგიერთ მედიკამენტს შეუძლია გაუწყლოების გამოწვევა, გახშირებული შარდვის ხარჯზე).

დეჰიდრატაციას შეუძლია გამოიწვიოს:

სითბური დაზიანება - ძლიერი ფიზიკური აქტიურობის ფონზე არასაკმარისი სითხის მიღებისას ოფლიანობამ შეიძლება გამოიწვიოს სხეულის გადახურება სიცოცხლისთვის საშიშ სითბურ დაკვრამდეც კი;

საშარდე გზების პრობლემები - გახანგრძლივებულ ან განმეორებით დეჰიდრატაციას შეუძლია გამოიწვიოს საშარდე გზების ინფექცია, შარდ-კენჭოვანი დაავადება და თირკმლის უკმარისობაც კი;

გულყრა - რამდენადაც დეჰიდრატაციის დროს სითხესთან ერთად ორგანიზმი ელექტროლიტებსაც კარგავს. თუ ნატრიუმმა და კალიუმმა ვერ განახორციელა ნორმალური უჯრედშორისი კავშირი, კუნთთა უნებლიე შეკუმშვები და გონების დაკარგვაც კია მოსალოდნელი;

ჰიპოვოლემიური შოკი - სისხლის მოცულობის შემცირებით გამოწვეული ეს შოკი დეჰიდრატაციის სახიფათო გართულებაა. სისხლის მოცულობის დაქვეითებას არტერიული წნევისა და ორგანიზმის ჟანგბადით გაჯერების დაქვეითებაც მოჰყვება;

დეჰიდრატაციის დროს მოსალოდნელია მკვეთრი ჰიპოტენზია - განსაკუთრებით ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურ მდგომარეობაში გადასვლისას, დამახასიათებელია ტაქიკარდია და შემცირებულია კიდურებისკენ სისხლის მიდინება.

სისხლის ანალიზის მეშვეობით ფასდება ელექტროლიტების დონე (ნატრიუმის, კალიუმის...) და თირკმლის ფუნქციური მდგომარეობა. შარდის ანალიზით დეჰიდრატაციის დადასტურება, მისი ხარისხის დადგენა, შარდის ბუშტის ინფექციის ნიშნების გამოვლენაა შესაძლებელი.

დეჰიდრატაციის მკურნალობის ეფექტური გზა დაკარგული სითხისა და ელექტროლიტების აღდგენაა. ახალშობილებსა და ბავშვებს, რომლებსაც დეჰიდრატაცია დიარეის, ღებინების ან ცხელების გამო განუვითარდათ, აძლევენ დასალევ

სარეჰიდრატაციო ხსნარებს, რომლებიც საჭირო თანაფარდობით შეიცავს წყალსა და მარილებს და აღადგენს სითხისა და ელექტროლიტების ბალანსს.

ზრდასრული ადამიანებისთვის მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დეჰიდრატაციის დროს საკმარისია მეტი წყალი ან სხვა სითხე (მაგრამ არა - ტკბილი გამაგრილებელი და კოფეინის შემცველი სასმელები, რადგან ორგანიზმიდან სითხის გამოდევნას აძლიერებენ). მძიმე გაუწყლოების დროს, განურჩევლად პაციენტის ასაკისა, საჭიროა სწრაფი სამედიცინო დახმარება, ინტრავენური რეჰიდრატაცია ელექტროლიტური ხსნარებით.

გაუწყლოება თავიდან რომ ავიცილოთ, მივიღოთ საკმაო რაოდენობით სითხე (დღეში 1,5ლ-ზე მეტი) და წყლით მდიდარი საკვები (ხილი, ბოსტნეული).

ღებინებისა და დიარეის დროს ბავშვებს დეჰიდრატაციის გამოვლენამდე უნდა მივაწოდოთ წყალი ან სარეჰიდრატაციო ხსნარი. ძლიერი ფიზიკური დატვირთვის დროს (ვარჯიში, ფიზიკური შრომა) რეკომენდებულია სითხის მარაგის რეგულარული შევსება. სიცხეში სითხის დამატებით მიღება საჭიროა სხეულის ტემპერატურის დასაქვეითებლად და ოფლიანობისას დაკარგული სითხის მარაგის შესავსებად. სიცივეში თუ ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზე ვიმყოფებით, უნდა მივიღოთ ჩვეულებრივზე მეტი სითხე, რადგან თავიდან ავიცილოთ ჰაერის სიმშრალით გამოწვეული ტენის დაკარგვა. ავადმყოფობისას ხანდაზმულები განიცდიან დეჰიდრატაციას, განსაკუთრებით გრიპის, ბრონქიტის, შარდის ბუშტის ინფექციების დროს. ამიტომ საჭიროა მათთვის საკმაო რაოდენობის სითხის მიწოდება.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდორეს ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 27/05/22, 21 ⁴⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲦᲔ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲥᲘᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ 598 24 94 97

26 მაისი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი თარიღია. ეს დღე გამორჩეულად აღინიშნა როგორც საქართველოს დედაქალაქში, ისე ქვეყნის სხვა ქალაქებში.

თბილისში, თავისუფლების მოედანზე შეკრებილებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ...

დამოუკიდებლობა, თავისუფლება, უსაფრთხოება დიდ ევროპულ ოჯახთან ერთად - მთავარი გზავნილი იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის წლევანდელი სლოგანი კი - გზა ევროპისკენ. გაიმართა სამხედრო აღლუმი, ფიცის დადების ცერემონია, კონცერტი.

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲐᲓᲠᲔ ᲓᲘᲚᲘᲗ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲓ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲡᲒᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲔᲛᲔᲓ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲖᲔ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ �პᲐᲠᲙᲘᲓᲐᲜ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲐᲛᲓᲔ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲘᲡ თანხლებით. აკაკი წერეთლის საჯარო ბიბლიოთეკასთან მათ ქართული ცეკვებითა და სიმღერებით შეეგებნენ.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲞᲐᲠᲙᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲑᲣᲚᲕᲐᲠᲨᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲖᲔᲘᲛᲖᲔ ᲛᲝᲡᲣᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲝᲗ ᲔᲜᲐᲮᲐᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲔᲫᲘᲜᲐᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ თუ ხელნაკეთი ნივთები - აქ, ქალაქის ცენტრში გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. აქვე სამუზეუმო ექსპონატები იყო წარმოდგენილი. მოედანზე მოწყობილ სცენაზე ბათუმური ბენდები მთელი დღის განმავლობაში მართავდნენ კონცერტს, გვიან ღამით კი სცენა DJ ლაშა გურულს დაეთმო.

17 საათსა და 10 წუთზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს ჰიმნი შესრულდა. ეს არის დრო, როცა ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ბათუმში წელს ეს პატივი რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდებს ერგოთ (ქორმაისტერები - მაგდა მათითაიშვილი და გელა ვადაჭკორია).

აჭარის ჩოხოსნებმა პატივი მიაგეს 1921 წლის თებერვალში საქართველოს ერთიანობისათვის, აჭარის ოსმალთა ბატონობისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლებში დაღუპულ გმირებს. მათ სათავეში ედგა დაუმარცხებელი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. მასთან ერთად კიდევ ოთხი გენერალი იბძოდა ბათუმის გათავისუფლებისათვის - ვარდენ წულუკიძე, დავით ართმელაძე, მათ შეუერთდა აჭარელი გენერალი ასლან აბაშიძე, მემედ აბაშიძის ძმა. 84 გმირის სისხლის ფასად შეუნარჩუნდა აჭარა დედასაქართველოს. 34-მა ოჯახმა გადაასვენა გმირი საგვარეულო საფლავებზე, დანარჩენი 50 მებრძოლი, ვინც ვერ ამოიცნეს, სწორედ ამ მოედანზე დაკრძალეს. გმირების სულის საოხად პანაშვიდი გადაიხადა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის დეკანოზმა თეიმურაზ კურავამ. სხვათა შორის, იგი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანამოაზრე იყო, ეროვნული მოძრაობის სათავეებთან იდგა. შემდეგ, როცა ზვიადის ხელისუფლება განდევნეს, აჭარაში ჩამოვიდა და თავისი ადგილი ტაძარში იპოვა.

- აქ პერიოდულად დეკანოზი სერგი ატარებს ჩვენი გმირების სულის მოსახსენიებელ პანაშვიდებს, ასევე, დეკანოზი გიორგი ძნელაძე. ეს წმინდა ადგილია და მოზარდმა თაობამ კარგად უნდა იცოდეს ამ საფლავების მნიშვნელობა, - გვითხრა საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების აჭარალაზეთის სადროშოს დარბაზის თავკაცმა თენგიზ თავდგირიძემ.

- არ მესმის იმ ქართველების, ვინც ამ თარიღს სახლში ხვდება. დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია გაერთიანება, ისე ვერ გადავრჩებით. ჩვენი შვილები და შვილიშვილები უნდა ვაზიაროთ ქართულ სიმღერას, ცეკვას. გული მტკივა, როცა ვხედავ გათითოკაცებულ, დანაწევრებულ საქართველოს. პოლიტიკოსები უნდა მიხვდნენ, რომ საქართველო პარტიების კი არა, ჩვენი მშობლიური ქვეყანაა, მტერს ნუ გავახარებთ. აუცილებელია ჯერ სამშობლოზე, მერე საკუთარ სკამებზე ფიქრი. ქართველობა უნდა შევინარჩუნოთ, ილიას გზით უნდა ვიაროთ, - აღნიშნა პოეტმა ბელა ქებურიამ.

- ქართველი კაცი ფიზიკურად ოდითგანვე იბრძვის, თუმცა ის ყოველთვის თავისუფალია, მაგრამ როცა დამოუკიდებლობის აქტია მიღებული, რაც სახელმწიფოებრიობას ნიშნავს, ეს უკვე ყველა ქართველისთვის საამაყოა. 26 მაისი ის დღეა, რომელიც აღადგინა 1991 წლის 9 აპრილს მოწვეულმა პარლამენტმა. ამ დამოუკიდებლობის აქტზე ჩემი ხელმოწერაცაა. ამ სიხარულის გამოხატვა არ შეიძლება, ამაზე დიდი გრძნობა არ არსებობს, გულში სიხარული აღარ გეტევა. ამ დღეს მივულოცავ ქართველ ხალხს. ერთი ოცნება ჰქონდა ზვიად გამსახურდიას - „კავკასიური სახლის“ მშენებლობა. ღმერთით, მოსულიყოს საქართველოში ადამიანი, ვინც ამას აასრულებს, - თქვა მწერალმა ანზორ კუდბამ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში აღინიშნა.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲫᲐᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲛᲐ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ ᲐᲘᲦᲝ



ექიმი-რეაბილიტოლოგი გიორგი ჭინჭარაული, ფიზიოთერაპევტი რუსლან ღიბრაძე.

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘᲫᲔ

გუშინ ალბანეთში სტარტი აიღო ძალოსანთა საიუბილეო ევროპის ჩემპიონატმა, რომელზეც საქართველოს ეროვნული ნაკრები მთავარ მწვრთნელ გიორგი ასანიძის ხელმძღვანელობით გაემგზავრა. ქართველი ძალოსნები თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ფედერაციის წარმომადგენლებმა, გულშემატკივრებმა და ოჯახის წევრებმა გააცილეს.

შეგახსენებთ, რომ კონტინენტის პირველობაზე მსოფლიოს უძლიერეს ძალოსან ლაშა ტალახაძეს დააჯილდოებენ - მას ევროპის საუკეთესო ძალოსნის პრიზი გადაეცემა, რომელიც რამდენიმე დღის წინ გულშემატკივრებმა ელექტრონული ხმის მიცემის სისტემით გამოავლინეს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი გამოკითხვა კონტინენტზე პირველად ჩატარდა და ევროპის ჩემპიონატების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ჯილდო ელოდება ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ გიორგი ასანიძესაც, რომელიც ძალოსნობაში შეტანილი წვლილისთვის გუშინწინ სპორტული ღირსების ვერცხლის ვარსკვლავით დაჯილდოვდა.

ახლა კი ნაკრების გამოსვლის განრიგი (თბილისის დროით):

29 მაისი, 16:00 სთ (55 კგ) - გოდერძი ბერდელიძე;

29 მაისი, 22:00 სთ (61 კგ) - რამინ შამილიშვილი;

30 მაისი, 22:00 სთ (67 კგ) - შოთა მიშველიძე, გოგა ჩხეიძე;

31 მაისი, 22:00 სთ (73 კგ) - კახი ასანიძე;

2 ივნისი, 19:00 სთ (89 კგ) - რეზი დავითაძე;

3 ივნისი, 22:00 სთ (96 კგ) - ირაკლი გობეჯიშვილი;

4 ივნისი, 16:00 სთ (102 კგ) - ირაკლი ჩხეიძე;

4 ივნისი, 19:00 სთ (109 კგ) - გიორგი ჩხეიძე;

4 ივნისი, 22:00 სთ (87 კგ) - ანასტასია გოტფრიდი;

5 ივნისი, 18:00 სთ (+109 კგ) - ლაშა ტალახაძე

დელეგაციის შემადგენლობა: ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე, მწვრთნელები ავთო გახოკიძე და გია ცირეკიძე,